საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში

2019

I კვარტალი

20.05.2019

www.geostat.ge

20.05.2019

დასაქმება და უმუშევრობა

2019 წლის I კვარტალი

2019 წლის I კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.8 პროცენტი შეადგინა.

უმუშევრობის დონე საქართველოში კვარტალების მიხედვით, %



2019 წლის I კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 63.8 პროცენტი შეადგინა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოსახლეობის აქტიურობის დონე უცვლელი დარჩა, ხოლო დასაქმების დონე გაზრდილია 0.8 პროცენტული პუნქტით. ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 2.0 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 1.1 პროცენტული პუნქტით. აქტიურობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში გაიზარდა 0.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 1.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

აქტიურობის და დასაქმების დონე კვარტალების მიხედვით, %



2019 წლის I კვარტალში დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 50.3 პროცენტს შეადგენდა, რაც 0.9 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

დასაქმებულთა განაწილება კვარტალების მიხედვით, %



უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სასოფლო დასახლებებში, საქალაქო დასახლებებთან შედარებით. 2019 წლის I კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით უმუშევრობის დონე საქალაქო დასახლებებში 2.6 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული, ხოლო სასოფლო დასახლებებში გაზრდილია 0.2 პროცენტული პუნქტით.

უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში კვარტალების მიხედვით, %



უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2019 წლის I კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი კაცებში 3.9 პროცენტული პუნქტით აღემატება ქალების შესაბამის მაჩვენებელს. ამასთან, უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქალებში შემცირდა 1.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 0.9 პროცენტული პუნქტით.

უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში კვარტალების მიხედვით, %



აქტიურობის დონე ქალებთან შედარებით მაღალია კაცებში. 2019 წლის I კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში 55.5 პროცენტს, ხოლო კაცებში 73.5 პროცენტს შეადგენდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით აქტიურობის დონის მაჩვენებელი ქალებში გაზრდილია 0.6 პროცენტული პუნქტით, კაცებში პირიქით 0.6 პუნქტით არის შემცირებული.

აქტიურობის დონე სქესობრივ ჭრილში კვარტალების მიხედვით, %



2019 წლის I კვარტალში ქალების დასაქმების დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 0.2 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი. ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს დასაქმების დონეს სქესობრივ ჭრილში კვარტალების მიხედვით:

დასაქმების დონე სქესობრივ ჭრილში კვარტალების მიხედვით, %



საკონტაქტო პირი:
ირმა გვილავა, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (608).
E-mail: igvilava@geostat.ge